საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 216-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საქართველოს კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნა.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — მიხეილ მაჭავარიანი

თბილისი,
2008 წლის 21 ნოემბერი.
N